19/12/2023

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამძიმარი ბატონ ოთარ იოსელიანის გარდაცვალების გამო

დიდად ვწუხვართ მსოფლიო დონის ქართველი რეჟისორის, უდიდესი ხელოვანის, ბატონ ოთარ იოსელიანის გარდაცვალების გამო.

მართალია, მან ცხოვრების დიდი ნაწილი საფრანგეთში გაატარა, მაგრამ სამშობლოზე ზრუნვა ყოველთვის მისი ცხოვრების მიზანს წარმოადგენდა; ამიტომაც წერდა: „ამქვეყნად ყველა ეროვნების ადამინი მიყვარს, თუმც აღმატებულად მიყვარს ჩემი ერი.“

თავისი შემოქმედებით იგი ისეთ თემებზე ამახვილებდა ყურადღებას, რაც იმ დროის საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი იყო და იუმორნარევი რეალობის მისთვის დამახასიათებელი ხელწერით ისე ძლიერად ამბობდა სათქმელს, – პრობლემა სახალხო მსჯელობის საგანი ხდებოდა.

უნდა ითქვას ისიც, რომ საზღვარგარეთ მოღვაწეობის პერიოდშიც, უცხო მასალის საფუძველზე, იგი მაინც ქართულ ფილმებს იღებდა.

ბატონო ოთარის უნიკალურმა ხედვამ და სტილმა, სიკეთისა და მარადიული ადამიანური ღირებულებების დამკვიდრების სურვილით აღბეჭდილმა მისმა შემოქმედებამ, გამორჩეული წვლილი შეიტანა არა მხოლოდ ქართული, არამედ

ევროპული და მსოფლიო კინოსა და კულტურის საგანძურში.

მეტად სიმბოლურია და მნიშვნელოვანი, რომ იგი თბილისში გარდაიცვალა და მისი ნეშტი მშობლიურ მიწას მიებარება.

აღვავლენთ ლოცვებს ბატონი ოთარის უკვდავი სულისათვის, რათა მან სავანე მართალთა დაიმკვიდროს, ხოლო მისი ოჯახის წევრებს, ახლობლებსა და გულშემატკივართ მოჰმადლოს მისთვის ლოცვის ძალა.

პატივისცემით,

ილია II

სრულიად საქართველოს

კათოლიკოს-პატრიარქი

patriarchate.ge